საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მექვაბიშვილი ელგუჯა გიორგის ძე

მექვაბიშვილი ელგუჯა გიორგის ძე (დ. 26. V. 1956, სოფ. მამათი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი), ეკონომისტი. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1997), პროფესორი (2001). დაამთავრა თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტი (1978). იყო საქართვ. ეკონ. და სამართლის ინ-ტის მეცნიერი თანამშრომელი (1978–88), თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტის პოლიტ. ეკონომიის კათედრის დოცენტი (1990–98), დეკანი (1993–2005), ეკონ. და ბიზნესის ფაკ-ტის თეორ. ეკონომიკის კათედრის პროფესორი (1998-იდან) ამავე კათედრის გამგე (1999-იდან), თსუ-ის დიდი სამეცნ. (1993–2005), წარმომადგენლობითი (2006–13) და აკად. (2013–16; 2018–21) საბჭოების წევრი, თსუ-ის ეკონ. ფაკ-ტზე არსებული სადისერტაციო საბჭოს თავ-რე (2012–15); საქართვ. პრეზიდენტთან არსებული ეკონ. საბჭოს (1996–2002), საქართვ. ეროვნ. ბანკის საბჭოს (1998–2005) წევრი; საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის ექსპერტი (2017-იდან).

მ. არის სამეცნ. ნაშრომების, მ. შ. მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორი. გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაციები უცხოეთში. მისი სამეცნ. კვლევის სფეროებია: ეკონ. თეორია, ტრანსფორმაციული ეკონომიკა, მაკროეკონომიკა და მსოფლიო ეკონომიკა.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1998), ივ. ჯავახიშვილის სახ. (2017), პ. გუგუშვილის სახ. (2019), თსუ-ის ოქროს (2021) მედლები და ივ. ჯავახიშვილის სახ. პრემია (2016).

თხზ.: სახელმწიფო და ეკონომიკა, თბ., 1995; ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბ., 2009; გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2018.